პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 137 (12953) | შაბათი, 13 ივნისი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

ხელი მოაწერეს სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთობლივ დოკუმენტებს

1964 წლის 12 ივნისს მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის ურთიერთ დახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას. მხარეებმა ამ ხელშეკრულების დადება გადაწყვიტეს მოლაპარაკების დროს, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვში, როცა სსრ კავშირში სახელმწიფო ვიზიტად იყო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ვალტერ ულბრიხტი. სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირის სახელით ხელი მოაწერა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ულბრიხტმა.

ამავე დროს ხელი მოაწერეს ერთობლივ კომუნიკეს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ვ. ულბრიხტის საბჭოთა კავშირში მეგობრობის ვიზიტად ყოფნის შესახებ. ერთობლივ კომუნიკეს ხელი მოაწერეს ამხანაგებმა ნ. ს. ხრუშჩოვმა და ვ. ულბრიხტმა. (საკ.დასი).

მჯკიცდება საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხთა ძმური მეგობრობა და ერთობა

ჩვენს ქვეყანაში ყოფნის პირველი დღეებიდანვე მოძმე გერმანელი ხალხის წარმომადგენლები გრძნობდნენ გულთბილობასა და გულითადობას, რომლებითაც საბჭოთა ადამიანები ხვდებოდნენ მათ. სხვანაირად არც შეიძლება ყოფილიყო. საერთო საქმემ — სოციალიზმისა და კომუნიზმის შენებლობამ, ერთობლივმა ბრძოლამ მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, ჩვენი პარტიების ერთნაირმა შეხედულებებმა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის უნიშვნელოვანეს პრობლემებზე — ყოველივე ამან განუყრელად გააერთიანა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხები.

ჩვენი ქვეყნების მშრომელთა ძმური გრძნობების, ინტერნაციონალური სოლიდარობის ახალი მკაფიო გამოვლინება იყო საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის მიტინგი, რომელიც 12 ივნისს გაიმართა კრემლის ყრილობათა სასახლეში. აქ შეიკრიბნენ მოსკოვის ქარხნებისა და მშენებლობების მუშები, მეცნიერები, პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა საზოგადოებრიობის, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები, მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეები. დარბაზში არიან უცხოელი დიპლომატები, ჟურნალისტები.

ტაშმა იქუხა, როცა პრეზიდიუმში შემოვიდნენ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვალტერ ულბრიხტი,** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი,** ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, გ. ი. ვორონოვი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ვ. პოდგორნი, მ. ა. სუსლოვი, ნ. მ. შვერნიკი, ვ. ვ. გრიშინი, ლ. ნ. ეფრემოვი, ი. ვ. ანდროპოვი, პ. ნ. დემიჩევი, ბ. ნ. პონომარიოვი, ვ. ნ. ტიტოვი, ა. ნ. შელეპინი.** აქვე არიან გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეები.

მიტინგი გახსნა სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა **ნ. გ. ეგორიჩევმა.**

მიტინგი კრემლის ყრილობათა სასახლეში

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ჩვენო მეგობარო, ამხანაგო ვალტერ ულბრიხტ!
ძვირფასო გერმანელო ამხანაგებო, მეგობრებო!
ძვირფასო ამხანაგო მოსკოველებო!

ჩვენი მეგობრები, ამხანაგები ვალტერ ულბრიხტი და მისი თანმხლები პირნი—გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები ეს-ეს არის დაბრუნდნენ საბჭოთა კავშირში მოგზაურობიდან. დღეს კვლავ ეხედებით მათ ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში.

ჩემთვის მეტად სასიამოვნოა გულითადად მივესალმო ჩვენს გერმანელ მეგობრებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და საბჭოთა მთავრობის სახელით, მილიონობით საბჭოთა მშრომელის სახელით. ჩვენ მიგესალმებით ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს — ჩვენი მომმე სოციალისტური გერმანული სახელმწიფოს გამოჩენილ პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა ხალხის გულწრფელ მეგობარს.

მოხარული ვართ მიგესალმოთ გერმანის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეებს ამხანაგებს აპელს, მატაგს, მილკეს, რომლებიც ამხანაგ ვალტერ ულბრიხტს ახლავან, ამხანაგ ულბრიხტთან ერთად ჩამოვიდნენ დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში შემავალ პარტიათა ხელმძღვანელი მოღვაწეები ამხანაგები გეტინგი, გერლახი, რიცი, ბოლცი და სხვები. ჩვენ გულითადად მივესალმებით ამ ამხანაგებს.

მივესალმებით აგრეთვე ამხანაგებს შტოფს, ჰონეკერს, დიკმანს, კორენსს, ჰომანს, ბალკოფს, რომლებიც მოსკოვში ჩამოვიდნენ, რათა მონაწილეობა მიიღონ ერთობლივი დოკუმენტების ხელმოწერაში.

ჩვენი სტუმრები იყვნენ ურალსა და ციმბირში—ქალაქებში სვერდლოვსკში, ნოვოსიბირსკში, ირკუტსკში, ბრატსკში, კრასნოიარსკში, ომსკში. საბჭოთა ადამიანებთან შეხვედრების დროს მათ შეეძლოთ ერთხელ კიდევ დარწმუნებულიყვნენ ჩვენი ხალხის ძმურ გრძნობებში, ეგრძნოთ მხურვალე სიმპათიები, რაც ყველაფერზე უკეთ ცხადყოფს საბჭოთა კავშირის შრომელთა დამოკიდებულებას თავიანთი გერმანელი მეგობრებისადმი.

ჩვენ ყოველთვის პატივისცემით ვეპყრობით მეგობართა აზრს ჩვენი ქვეყნის შესახებ. საბჭოთა ხალხის ცხოვრებისა და შრომის შესახებ. ჩვენთვის სასიამოვნო იყო, როცა ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის გამოსვლებიდან შეეტყვეთ, რომ გერმანელ ამხანაგებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ურალისა და ციმბირის წარმატებებმა. მართლაც, ეს უდიდესი და მდიდარი რაიონებია. ურალისა და ციმბირის შესანიშნავი ადამიანები დიდად განსაზღვრავენ მთელი ჩვენი ქვეყნის განვითარებას, მათ უდიდესი წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში.

ძალიან კარგად თქვა ამხანაგმა ულბრიხტმა, რომ მოსკოვშიც, ურალშიც, ციმბირშიც, საბჭოთა ქვეყნის ყოველ რაიონში ჩვენი განვითარება ისრუნი კომუნიზმისაკენ არის მიმართული.

მოხარული ვართ და ვამაყობთ იმით, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაშიც განვითარების ისრუნი კომუნიზმისაკენ არის მიმართული.

სწორედ დიადი მიზნის ეს ერთობა წარმოშობს ურღვევ მეგობრობას, რომელიც ჩვენს ხალხებს აერთიანებს. ამ მეგობრობის დასამყარებლად ჩვენმა ხალხებმა დიდი მსხვერპლი გაიღეს. ჩვენი ქვეყნის ხალხებისა და გერმანელი ხალხის ურთიერთობა სხვადასხვანაირად ყალიბდებოდა. ყოველთვის როდი იყო მათ შორის მშვიდობა და მეგობრობა. სულ ორი ათეული წელი გვაშორებს მეორე მსოფლიო ომის მრისხანე დღეებს, რომელიც გაიჩაღა ჰიტლერულმა ფაშიზმმა, არა მარტო გერმანიის, არამედ აგრეთვე მსოფლიო იმპერიალიზმის ამ დამკვრელმა ძალამ.

მაგრამ ომის ყველაზე შავბნელ დღეებშიც კი საბჭოთა ადამიანები არ ივიწყებდნენ, რომ გარდა ჰიტლერის, პრუსიელი იუნკერებისა, მილიტარისტებისა და სამხედრო მონოპოლიების გერმანიისა, არის სხვა გერმანია — მუშათა, გლეხთა და მშრომელი ინტელიგენციის გერმანია, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი მოაზროვნეები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ბეეთი და ბეეთი გერმანელი რევოლუციონერი და ანტიფაშისტი.

სწორედ ამ გერმანიის მივესალმებით ახლა გერმანულ მიწაზე პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით.

მომდინარე წლის შემოდგომაზე სრულდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 15 წელი. ამ წლების მანძილზე იგი გადაიქცა მშვიდობის სიმყარედ ბალტიზონად, სოციალიზმის მტკიცე ფორპოსტად ცენტრალურ ევროპაში. თქვენი რესპუბლიკა მტკიცე რწმენით უყვალავს გზას მთელი გერმანელი ხალხის ბედნიერ მომავალს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა შრომელს წლიდან ხვდათ დიადი ისტორიული ამოცანა — მაღლა ასწიონ სოციალიზმის დროშა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა სამშობლოში.

ადვილი როდი იყო ჩვენი გერმანელი მეგობრებისათვის დაეწყოთ ახალი ცხოვრების შენებლობა. საჭირო იყო აღმოეფხვრათ ფაშიზმის სოციალური, პოლიტიკური და მორალური მემკვიდრეობა. საჭირო იყო ამოეძირკვათ ნაციზტური იდეოლოგიის შხამიანი ფესვები, ამ იდეოლოგიისაგან გაეთავისუფლებინათ ადამიანთა გული და გონება. საჭირო იყო აღედგინათ გერმანიის მუშათა კლასის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები.

უდიდესი ღონისძიებანი დასჭირდა ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენას. საჭირო იყო იმ სიძნელეთა გადალახვა, რომლებიც წარმოშვა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა ორი გერმანული სახელმწიფო და დაირღვა ბუნებრივი ეკონომიური სტრუქტურა და ტრადიციული ეკონომიური ურთიერთობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიძნელეებს კიდევ ისიც აღრმავებდა, რომ 1961 წლის აგვისტოდე მას დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ ზარალს აყენებდა ფართო ძირგამომთხრელი საქმიანობა და სპეკულაციური მაქინაციები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც დასავლეთ ბერლინის ღია საზღვარს იყენებდნენ.

იყო ბევრი სხვა რთული პრობლემაც. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენი გერმანელი მეგობრების წარმატებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს წარმატებანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა მას შემდეგ, რაც 1961 წლის აგვისტოში მთავრობამ დაიწესა დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინთან თავისა სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვა. ამის შედეგად დაიხურა არხები, რომლებთაც ხორციელდებოდა იმპერიალისტთა ეკონომიური და პოლიტიკური დივერსიები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდ შრომითს წარმატებებს მოწმობს ის ფაქტი, რომ 1963 წელს შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში 6.5 პროცენტით გაიზარდა. ცამეტ წლიწადში, 1950-1963 წლებში, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდამ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეადგინა 347, ხოლო დასავლეთ გერმანიაში 287 პროცენტი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით გადაიკრა სოფლის მეურნეობის კოოპერირების ურთულესი ამოცანა. ამასთან უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება.

როგორც ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა განაცხადა, წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი გერმანიის სამრეწველო წარმოების 1936 წლის დონეს მიაღწევს, თუმცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია მაშინდელი გერმანიის ტერიტორიის მეოთხედს შეადგენს. ეს დიდმნიშვნელოვანი წარმატებანია, და ჩვენ ვულოცავთ ჩვენს გერმანელ მეგობრებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა თვალსაჩინო წარმატებანი უწინარეს ყოვლისა შედეგია მუშათა კლასის თავდადებული ბრძოლისა, შედეგია დიდი შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელსაც ეწევა შრომელთა რევოლუციური ავანგარდი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან შეძლო მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, გერმანიის საკითხი მშვიდობიანი დემოკრატიული გადაჭრისათვის ბრძოლის დროშით შეეკავშირებინა გერმანელი ხალხის მთელი მშვიდობისმოყვარე, პატრიოტული ძალები, რომლებიც გაერთიანებული არიან დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მძლავრ მოძრაობაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. მას ღირსეული წვლილი შეაქვს სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში. ჩვენს გერმანელ მეგობრებთან ერთად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს პარტიებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას სავსებით ერთნაირი შეხედულებანი აქვთ იდეოლოგიის, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველა ძირითად საკითხზე.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები, ხალხები ამაყობენ ამ ერთიანობით, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი ხდება. ჩვენ ვითანხმებთ ჩვენს ღონისძიებებს მრეწველობის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, ერთმანეთს ვუზიარებთ სოფლის მეურნეობია გაძღოლის გამოცდილებას. წარმატებით ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. შეგვიძლო მოგვეყანა ბევრი მონაცემი ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ. ავიღოთ, მაგალითად, საქონელბრუნვის ზრდა ჩვენს ქვეყნებს შორის. ვაჭრობის მოცულობა 1950-დან 1963 წლამდე შვიდჯერ და მეტად გაიზარდა. იგივე ეტყობა საქონელბრუნვას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორის.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. ორივე ჩვენი პარტია ემყარება იმას, რომ სოციალიზმის მშენებლობაში უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიყენოთ ჩვენ-ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალები და რესურსები, მაგრამ ეს როდი გვიშლის ხელს განვავითაროთ უაღრესად ფართო, მრავალმხრივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა. ამის შედეგად ოვითეული ჩვენი ქვეყნის ძალები და შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად იზრდება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყნებში უფრო სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობს.

ამხანაგებო!

უკანასკნელი დროის ამბები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ხდება ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის დასაყრდენი დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა და რევანშისტთა საშიში გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გვერდს ავლთ არ შეიძლება გადაიჭრას არა მარტო გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხები, არამედ აგრეთვე სხვა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებასთან. ყველაზე აღვირახსნილი იმპერიალისტური წრეების თვალსაზრისით, გერმანიის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფო უკანონოდშობილი ბავშვია. მაგრამ, როგორც ეს ნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, ბეეთი და ბეეთი გერმანელი რევოლუციონერი და ანტიფაშისტი.

სწორედ ამ გერმანიის მივესალმებით ახლა გერმანულ მიწაზე პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახით.

მომდინარე წლის შემოდგომაზე სრულდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების 15 წელი. ამ წლების მანძილზე იგი გადაიქცა მშვიდობის სიმყარედ ბალტიზონად, სოციალიზმის მტკიცე ფორპოსტად ცენტრალურ ევროპაში. თქვენი რესპუბლიკა მტკიცე რწმენით უყვალავს გზას მთელი გერმანელი ხალხის ბედნიერ მომავალს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტებს, ყველა შრომელს წლიდან ხვდათ დიადი ისტორიული ამოცანა — მაღლა ასწიონ სოციალიზმის დროშა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელთა სამშობლოში.

ადვილი როდი იყო ჩვენი გერმანელი მეგობრებისათვის დაეწყოთ ახალი ცხოვრების შენებლობა. საჭირო იყო აღმოეფხვრათ ფაშიზმის სოციალური, პოლიტიკური და მორალური მემკვიდრეობა. საჭირო იყო ამოეძირკვათ ნაციზტური იდეოლოგიის შხამიანი ფესვები, ამ იდეოლოგიისაგან გაეთავისუფლებინათ ადამიანთა გული და გონება. საჭირო იყო აღედგინათ გერმანიის მუშათა კლასის სახელოვანი რევოლუციური ტრადიციები.

უდიდესი ღონისძიებანი დასჭირდა ომით დანგრეული მეურნეობის აღდგენას. საჭირო იყო იმ სიძნელეთა გადალახვა, რომლებიც წარმოშვა იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა ორი გერმანული სახელმწიფო და დაირღვა ბუნებრივი ეკონომიური სტრუქტურა და ტრადიციული ეკონომიური ურთიერთობა. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სიძნელეებს კიდევ ისიც აღრმავებდა, რომ 1961 წლის აგვისტოდე მას დიდ ეკონომიურ და პოლიტიკურ ზარალს აყენებდა ფართო ძირგამომთხრელი საქმიანობა და სპეკულაციური მაქინაციები იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც დასავლეთ ბერლინის ღია საზღვარს იყენებდნენ.

იყო ბევრი სხვა რთული პრობლემაც. ყოველივე ამის მიხედვით ჩვენი გერმანელი მეგობრების წარმატებანი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ეს წარმატებანი ერთხელ კიდევ ადასტურებენ მარქსიზმ-ლენინიზმის დიდ სასიცოცხლო ძალას. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევები სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებით თვალსაჩინოდ გამოვლინდა მას შემდეგ, რაც 1961 წლის აგვისტოში მთავრობამ დაიწესა დასავლეთ გერმანიასა და დასავლეთ ბერლინთან თავისა სახელმწიფო საზღვრის საიმედო დაცვა. ამის შედეგად დაიხურა არხები, რომლებთაც ხორციელდებოდა იმპერიალისტთა ეკონომიური და პოლიტიკური დივერსიები გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდ შრომითს წარმატებებს მოწმობს ის ფაქტი, რომ 1963 წელს შრომის ნაყოფიერება რესპუბლიკის მთელ სახალხო მეურნეობაში 6.5 პროცენტით გაიზარდა. ცამეტ წლიწადში, 1950-1963 წლებში, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ზრდამ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეადგინა 347, ხოლო დასავლეთ გერმანიაში 287 პროცენტი. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში წარმატებით გადაიკრა სოფლის მეურნეობის კოოპერირების ურთულესი ამოცანა. ამასთან უზრუნველყოფილ იქნა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდება.

როგორც ამხანაგმა ვალტერ ულბრიხტმა განაცხადა, წელს სამრეწველო წარმოების მოცულობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მთელი გერმანიის სამრეწველო წარმოების 1936 წლის დონეს მიაღწევს, თუმცა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორია მაშინდელი გერმანიის ტერიტორიის მეოთხედს შეადგენს. ეს დიდმნიშვნელოვანი წარმატებანია, და ჩვენ ვულოცავთ ჩვენს გერმანელ მეგობრებს.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა თვალსაჩინო წარმატებანი უწინარეს ყოვლისა შედეგია მუშათა კლასის თავდადებული ბრძოლისა, შედეგია დიდი შემოქმედებითი საქმიანობისა, რომელსაც ეწევა შრომელთა რევოლუციური ავანგარდი — გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ ვალტერ ულბრიხტის მეთაურობით.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ მან შეძლო მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, გერმანიის საკითხი მშვიდობიანი დემოკრატიული გადაჭრისათვის ბრძოლის დროშით შეეკავშირებინა გერმანელი ხალხის მთელი მშვიდობისმოყვარე, პატრიოტული ძალები, რომლებიც გაერთიანებული არიან დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის მძლავრ მოძრაობაში.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტია საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთ-ერთი მოწინავე რაზმია. მას ღირსეული წვლილი შეაქვს სოციალისტური მშენებლობის თეორიისა და პრაქტიკის განვითარებაში, მსოფლიო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, მთელი საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში. ჩვენს გერმანელ მეგობრებთან ერთად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს პარტიებს — საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და გერმანიის ერთიან სოციალისტურ პარტიას სავსებით ერთნაირი შეხედულებანი აქვთ იდეოლოგიის, თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკისა და მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ყველა ძირითად საკითხზე.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კომუნისტები, ხალხები ამაყობენ ამ ერთიანობით, რომელსაც საფუძვლად უდევს მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპები.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა სულ უფრო მჭიდრო და მრავალმხრივი ხდება. ჩვენ ვითანხმებთ ჩვენს ღონისძიებებს მრეწველობის განვითარების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დარგში, ერთმანეთს ვუზიარებთ სოფლის მეურნეობია გაძღოლის გამოცდილებას. წარმატებით ვითარდება მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული ურთიერთობა. შეგვიძლო მოგვეყანა ბევრი მონაცემი ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობის შესახებ. ავიღოთ, მაგალითად, საქონელბრუნვის ზრდა ჩვენს ქვეყნებს შორის. ვაჭრობის მოცულობა 1950-დან 1963 წლამდე შვიდჯერ და მეტად გაიზარდა. იგივე ეტყობა საქონელბრუნვას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და დასავლეთ გერმანიას შორის.

საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თანამშრომლობა შეესაბამება ჩვენი ქვეყნების ხალხთა ინტერესებს. ორივე ჩვენი პარტია ემყარება იმას, რომ სოციალიზმის მშენებლობაში უწინარეს ყოვლისა უნდა გამოვიყენოთ ჩვენ-ჩვენი ქვეყნის საკუთარი ძალები და რესურსები, მაგრამ ეს როდი გვიშლის ხელს განვავითაროთ უაღრესად ფართო, მრავალმხრივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა. ამის შედეგად ოვითეული ჩვენი ქვეყნის ძალები და შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად იზრდება, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყნებში უფრო სწრაფად და წარმატებით მიმდინარეობს.

ამხანაგებო!

უკანასკნელი დროის ამბები დამაჯერებლად გვიჩვენებენ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ხდება ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების სულ უფრო დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ყველა მშვიდობისმოყვარე გერმანელის დასაყრდენი დასავლეთგერმანელ მილიტარისტთა და რევანშისტთა საშიში გეგმების წინააღმდეგ ბრძოლაში. დღეს სრული საფუძველი გვაქვს ვთქვათ, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის გვერდს ავლთ არ შეიძლება გადაიჭრას არა მარტო გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხები, არამედ აგრეთვე სხვა პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცებასთან. ყველაზე აღვირახსნილი იმპერიალისტური წრეების თვალსაზრისით, გერმანიის მუშათა და გლეხთა ახალგაზრდა სახელმწიფო უკანონოდშობილი ბავშვია. მაგრამ, როგორც ეს

სრულდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს მოსკოვის ელექტრონათურების ქარხნის ზეინკლმა სოციალისტური შრომის გმირმა **ა. მ. მალინკინმა,** სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა **ბ. ვ. პეტროვსკიმ,** მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტმა **მარინე ეფიმოვამ.**

ტრიბუნაზე ადის ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი.** დარბაზში გაისმის მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან, გაისმის მისასალმებელი შეძახილები ნ. ს. ხრუშჩოვის, ვალტერ ულბრიხტის პატივსაცემად, საბჭოთა კავშირ-გერმანიის მეგობრობის აღსანიშნავად.

ეერავითარი „ჰალშტაინის დოკტრინა", რევანშისტული ძალების ეერავითარი შანტაჟი ვერ შეუშლის ხელს იმსა, რაც გაღდგენილია — გერმანიის სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პოზიციები კელავაც განმტკიცდება, მომავალი მისია.

რათა შეაჩეროს გერმანელი ხალხის სოციალიზმის გზით განვითარება, მსოფლიო რეაქცია ცდილობს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის იზოლირებას. ამ მიზნით იგი მხარს უჭერს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებსა და რევანშისტებს, ცდილობს გამოიყენოს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, როგორც დამკვრელი ძალა ევროპის სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფაქტები გვიჩვენებენ, რომ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეების პოლიტიკა დღეს ყველაზე აგრესიული და ანექტიორისტული ევროპაში. თუ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელ მოღვაწეთა განცხადებებს მოვამორებთ სიტყვიერ ჩენჩოს, გამოჩნდება აშკარად რევანშისტული არსი ბონის გეგმებისა, რომლებიც უაღრესად სამნიშია საყოველთაო მშვიდობის საქმისათვის, ბევრი ხალხის, და უპირველეს ყოვლისა, გერმანელი ხალხის ბედისათვის.

დასავლეთგერმანელი რევანშისტები ანლა ყოველნაირად ცდილობენ ხელში ჩაიგდონ ატომური იარაღი. ისინი მზად არიან ყველაფერი მოიმოქმედონ იმისათვის, რომ გახდნენ ნატოს ეგრეთწოდებული მრავალმხრივი ატომური ძალების მონაწილე, ესე იგი ხელი მიუწვდეთონდეთ რაკეტულ-ატომურ მოწყობილობებთან.

ცდილობენ დაგვარწმუნონ, თითქოს ნატოს მრავალმხრივი ძალების შიმრით დასავლეთ გერმანიისათვის ხელმისაწვდომი რომ გახდეს ატომური იარაღი, ეს ეერაფერს შეცვლის, რამდენადაც ატომური იარაღისადმი კონტროლი ამერიკელების ხელში რჩებაო. ამბობენ, რათა თავიდან აცილებულ იქნას საკუთარი ატომური იარაღის შექმნა დასავლეთ გერმანიაში, უმჯობესია შეიქმნას რაკეტულ-ატომური ბარაღის ერთობლივად ფლობისა და გამოყენების ერთგვარი საალიანი საზოგადოებაო. მაგრამ ვინ დაიჯერებს ასეთ მტაცებელს? თუ დასავლეთის სახელმწიფოები ახლა ეერაფერს გამბედავენ ბონელ მილიტარისტებსა და რევანშისტებთან, რაღას გახდებიან მას შემდეგ, რაც ბუნდესვერი შეიძენს ატომურ პოტენციალს? ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა, რომ გაძლიერების შემდეგ მილიტარისტები უფრო დამთმობი გამხდარიყვნენ. ბუნდესვერისათვის რომ ხელმისაწვდომი გახდეს რაკეტულ-ატომური იარაღი, ეს უკიდურესად გაამწვავებს საერთაშორისო ვითარებას, გააძლიერებს ახალი მსოფლიო ომის დაწყების საფრთხეს.

საბჭოთა კავშირი არ ილაშქრებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ ჩვენ გვერდს ეერ ავუვლიათ ბონის მთავრობის საშ

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

გაიაზრებესონ ურთიერთობა, განავითარონ მშვიდობიანი თანამშრომლობა ჩვენს სახელმწიფოებს შორის.

დროდადრო ბონში აკეთებენ განცხადებებს, რომ მმართველი წრეები პრინციპულად არ არიან წინააღმდეგი საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციისა, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა კავშირი წინასწარ შეასრულებს ზოგიერთ პირობას, მაგალითად, შეწყვარებთ მოეკიდება დასავლეთ გერმანიის განზრახვას ჩაყლაპოს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, „გაასწოროს“ საზღვრები პოლონეთთან, ჩეხოსლოვაკიასა და ზოგიერთ სხვა სახელმწიფოსთან. ეს ბოდვითი, ავანტიურისტული გეგმებია.

იძულებული ვართ დავასკვნათ, რომ მრავალი წლის სიბეცის პოლიტიკა, რომელსაც ბონი ახორციელებს, სამწუხაროდ, გრძელდება. სიტყვით აღიარებს რა, რომ საჭიროა დაძაბულობის შენელება, ბონი იქვე ქადაგებს რევანშიზმის იდეებს, თითქოს შეიძლებოდეს მშვიდობის ინტერესებისა და რევანშის გეგმების შეთავსება.

მხოლოდ გაოცებას იწვევს, რომ არავითარი რეალიზმი არ გააჩნიათ დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელებს, რომლებიც ცდილობენ რაღაც პირობები წამოგვიყენონ. თქვენ უნდა გახსოვდეთ, ბატრნებო: საბჭოთა კავშირს არაფერი არ მართებს ფედერაციული რესპუბლიკისა. პირიქით, სწორედ გერმანიის იმპერიალიზმმა მიაყენა უდიდესი ზარალი საბჭოთა კავშირს ხალხებს, მთელი ევროპის ხალხებს.

რაც შეეხება განზრახვას, რომ ჩაყლაპონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, დროა შეიგნონ ერთი უბრალო ჭეშმარიტება. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფოა. იგი არსებობს, ძალღონეს იკრებს და დასავლეთ გერმანიის ხელმძღვანელობა იძულებული იქნება ანგარიში გაუწიოს ამ ფაქტს, თუნდაც მისთვის უსიამოვნო, მაგრამ საკუთარი რეალური ფაქტს. „ძალის პოზიციის“ პოლიტიკის ისეთმა თავგამოდებულმა მომხრემაც კი, როგორიც ადენაუერია, აღიარა, რომ არ შეიძლება გერმანიის საკითხის ომის გზით გადაჭრა. ბონელმა მილიტარისტებმა და რევანშისტებმა უნდა იცოდნენ: გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა მარტო არ არის: მას მხარში უდგას საბჭოთა კავშირი, მთელი ძლევამოსილი სოციალისტური ბანაკი.

საბჭოთა კავშირს არა სურს თავს დაესხას ვინმეს, ჩვენ მშვიდობიანი შრომა გვინდა. ჩვენ არ გვჭირდება ავანტიურისტული ბილიკების ძებნა. მხოლოდ ის, ვისაც არა აქვს ცხოვრების პერსპექტივა, ტყვიას დაიხლიტ, წყალში გადავარდება, თავს ჩამოიხრჩობს ან მსოფლიო ომის დაწყებას მოინდომებს — ახლა კი ეს ერთი და იგივეა, ჩვენ, რეალისტებს, საღი გონების ადამიანებს, გვწამს ჩვენი ძალა, ჩვენი შესაძლებლობანი და ბეკიცად გკაკვნა, რომ ჩვენი პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებანი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის შესახებ შესრულდება!

ჩვენ არავის დაკანონებით თავგზა აგვიბნიოს, ვერავინ ვერ დაგვთმობინებს სწორ ლენინურ პოზიციებს. ზოგიერთს სურს, ასე ვთქვათ, შელახოს ჩვენი რევოლუციური თავმოყვარეობა და ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კომუნისტები ახლა საკმაოდ რევოლუციურად არ იბრძვიან იმპერიალიზმის წინააღმდეგ, შესაძლებლად მიიჩნიათ სოციალიზმის გამარჯვებისაკენ ორი გზით იაროს: ან შეიარაღებული აჯანყების გზით ან მშვიდობიანი გზით. ისინი კი, ვინც ჩვენ გვაკრიტიკებს, ამბობენ: მარტო აჯანყების გზით უნდა ვიაროთო. ამტკიცებენ, რა რომ ჩვენ საკმაოდ რევოლუციური არა ვართ, ეს ადამიანები ცდილობენ ავანტიურიზმის გზაზე დაგვაყენონ.

რომელ კაპიტალისტურ ქვეყანას, რომელი ქვეყნის მუშათა კლასს, რომელ პარტიას სურს ახლა მოახდინოს აჯანყება? თუ რომელიმე ქვეყნის მუშათა კლასი ასეთი ბრძოლისათვის აღდგება, ჩვენ მას მივესალმებით და ვიტყვით: წინ, თუ დარწმუნებული ხარ, რომ ეს აჯანყება თქვენი გამარჯვებით დამთავრდება!

მაგრამ, ამხანაგებო, რევოლუციას თვითეული ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელი ხალხი ისე ახორციელებს, რომ სხვა ქვეყნის ლოზუნგ-კურთხევა არ სჭირდება. ეს ხდება იმ კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, რომელიც თვითეულ ქვეყანაში იქმნება, როცა მომწიფდება ძალები აჯანყებისათვის, მუშათა კლასის, ხალხის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდებისათვის, რევოლუციური ბრძოლისათვის.

თითქოს ეს ცხადია და საკამათო არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენი კრიტიკოსები სრულიად საწინააღმდეგო რამეს ამბობენ. ხოლო იმის გამო, რომ ჩვენ ახლა ვილაყბებთ, მხოლოდ ერთი გზა არისო, ან ამის გამო რომელიმე ქვეყანა ოდნავ მაინც მიუცაროვდება ამ სანუკვარ მიზანს: მუშათა კლასის გამარჯვებას!? ეს, როგორც იტყვიან, დამოკიდებული არ არის ენის სიგრძეზე და იმაზე, თუ რამდენჯერ შემობრუნდება იგი.

რევოლუციის განვითარება დამოკიდებულია თვითეული ქვეყნის შინაგან ფაქტორებზე. ეს კარგად გვიჩვენა ვ. ი. ლენინმა. ლენინი დიდი რევოლუციონერი სტრატეგი იყო, იგი რევოლუციას თვალიწინ ნებდა ძალთა თანაფარდობას, როცა ივლისში თქვა: საჭირო არ არის ქუჩაში გავიდეთ, აჯანყებისათვის პირობები არ მომწიფებულაო. მაგრამ რამდენადაც ხალხის მოთმინების ფიალა აივსო, მუშები და ჯარისკაცები ქუჩაში გამოვიდნენ. თქვენ იცით, თუ რით დამთავრდა ეს, — დამთავრდა იმით, რომ მუშებისა და ჯარისკაცების გამოსვლა ჩაახშეს. ლენინი იძულებული გახდა თავი შეეფარებინა იატაკქვეშეთისათვის, თავი დაეღწია კონტრრევოლუციის დევნისათვის. ოქტომბრის დღეებში კი ლენინი კვლავ დაბრუნდა პეტროგრადში. 24 ოქტომბერს, საღამოს ლენინი ცენტრალურ კომიტეტს სწერდა, მდგმარეობა ძალზე კრიტიკული და დაყოვნება არ შეიძლებაო, საქმე უეჭველად ამ საღამოს ან ღამით უნდა გადაწყდესო. განა ვ. ი. ლენინი მაშინ ელოდა, რომ მას სხვა ქვეყნიდან ეტყოდნენ, თუ როდის უნდა დაიწყო აჯანყება და როგორ მოიწყო იგი?

არასწორი, ეგუნური იქნებოდა რეკომენდაციები მიგვეცა სხვა კომპარტიებისათვის, თუ როდის დარაზმონ თავიანთი ქვეყნების ხალხები რევოლუციისათვის. ასეთი საკითხების გადაწყვეტა მხოლოდ და მხოლოდ თვითეული ქვეყნის თვით კომუნისტური და მუშათა მარქსისტულ-ლენინური პარტიებისა და ხალხის საქმეა. მაგრამ ამასთან ერთად ზედმეტი არ არის კარგად გავერკვეთ შექმნილ სიტუაციაში, რათა ყალბი რეალურად არ წარმოვიგიგინოთ.

ეი რა მინდა ვუთხრა იმათ, ვინც ცდილობს ავანტიურების გზაზე დაგვაყენოს. არა, ეს არ გამოუვალ!

ისინი, ვინც გვაკრიტიკებს, აცხადებენ: ის, რასაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია გვთავაზობს, რევეზიონიზზმიაო. ეს ყოყოფენ მშვიდობიან შეჯიბრებას, უარყოფენ, რომ მშვიდობიან ეკონომიურ მშენებლობაში მოპოვებულ წარმატებათა საფუძველზე სოციალისტური ქვეყანა აღმფრთოვანებელი მაგალითი უნდა იყოს მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობისა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

დიახ, ჩვენ ვლაპარაკობთ მშვიდობიანი შეჯიბრების, მშვიდობიანი მშენებლობის მნიშვნელობის შესახებ, ეს ვ. ი. ლენინმა თქვა, რომ რაც დრო გადის, მით უფრო მეტ ზემოქმედებას მოვახდენთ მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობაზე ჩვენი მაგალითით, ჩვენი სამეურნეო მშენებლობით.

თუ ჩვენ, ამხანაგებო, გავაჯანსაღებთ, დავაყოვნებთ ეკონომიკის განვითარებას, ყინვაში მოკლე შვრალი ვიქნეთ, ეს რაღა იქნება მოთმაგონებელი მაგალითი. ჩვენი ქვეყანა აფრიკა როდია, სადაც ჩვენს გრძელ შარავლსა და თბილ ტანსაცმელს ვერ ჩაიცვამ, რასაკვირველია, ზამთარში ჩვენშიც შეიძლება ტოფსი გამოხვიდე; გამოსვლით კი გამოხვალ, მაგრამ დიხანს კი ირბენ?

თუ ჩვენ საქმით არ ვაჩვენებთ ჩვენი სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სწრაფი აღმავლობის, მატერიალური და კულტურული ზრდის უპირატესობებს, თუ საბჭოთა ადამიანები უკეთ ვერ იცხოვრებენ, ვიდრე რევოლუციამდე ცხოვრობდენ, მაშინ ბევრი იტყვის: გესმით, ამბობენ, კომუნისტები სოციალიზმს აშენებენო, რათ გვინდა ჩვენ სოციალიზმი? ეი რუსები, ამბობენ, სოციალიზმში ცხოვრობენ, უმარელოდ კი დადიანო. თქვენ გსურთ მათს მაგალითს მიბაძოთ? ჩვენ კაპიტალიზმის დროს მარტო შარავლს როდი ვატარებთ, შარავლიც გვაქვს და პიჯაკიც. ყველასათვის გასაგებია, რომ რაც უფრო მაღალი იქნება ჩვენს ქვეყანაში ეკონომია, მით უფრო მეტ შესაძლებლობას მიიღებს სახელმწიფო ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, კულტურის, მეცნიერების, ხელოვნების განვითარებისათვის, მით უფრო წარმატები იქნება ჩვენი საზოგადოება. ეს მაგალითი სხვა ქვეყნების მშრომელებს მოუწოდებს იმავე მიღწევებისათვის საბრძოლველად, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა თავისი ღვინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

ჩვენი კრიტიკოსები იმოწმებენ ისტორიულ ფაქტებს და ამბობენ: რუსეთში სოციალისტურმა რევოლუციამ პირველი მსოფლიო ომის შემდეგ გაიმარჯვა, ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტური რევოლუცია აგრეთვე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდაო. აქედან დასაკვნიან: იმისათვის, რომ სოციალისტურმა რევოლუციებმა სხვა ქვეყნებში გაიმარჯვოს, საჭიროა მუშათა კლასმა ამჟამად ახალი მსოფლიო ომი გააჩაღოსო.

ამხანაგებო, როდესაც საქმე გაქვს ასეთ თეორეტიკოსებთან, არ იცი რა უპასუხო, ვფიქრობ, ყველაზე პატიოსნად მოიქცევი, თუ ასეთ ადამიანს ურჩევ ექიმ-ფსიქიატრს მიმართოს.

კომუნისტური, მუშათა პარტიები ყოველთვის იბრძოდნენ იმპერიალისტური ომების — იმპერიალისტური და არა განმათავისუფლებელი ომების გაჩაღების წინააღმდეგ. და თუ იმპერიალისტური ომები იწყებოდა, იწყებოდა სწორედ მუშათა კლასის სისუსტის გამო, რომელსაც იმ დროს არ შეეძლო დაეძლია მონოპოლისტური კაპიტალის ძალები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ იმპერიალისტური ომის გაჩაღებას.

გაიხსენეთ, რა შეუპოვრად იბრძოდნენ არა მარტო ბოლშევიკები, არამედ ყველა პროგრესული ადამიანი იმპერიალისტური ომის წინააღმდეგ. ჟან ჟორესი საფრანგეთში იბრძოდა რამდენადაც შეეძლო, იბრძოდა, სანამ არ მოკლეს ეკ. ი. ლენინი, ჩვენი პარტია შეუპოვრად იბრძოდნენ იმპერიალისტური ომების გაჩაღების წინააღმდეგ. სახელმწიფო სათათბიროს ბოლშევიკმა დეპუტატებმა ხმა მისცეს ომის წინააღმდეგ, ომისათვის კრედიტების წინააღმდეგ. ამხანაგები ბადაევი, პეტროვსკი და სხვები თავიანთი ბრძოლის გამო კატორღაში წავიდნენ.

მაგრამ მაშინ ჩვენ, ბოლშევიკები, როდი ესაზღვრავდით, ყოფილიყო თუ არ ყოფილიყო ომი. ახლა, როდესაც შესაძლებლობა გვაქვს განესაზღვროთ ან გაგვლა მოვახდინოთ — იყოს თუ არა ახალი მსოფლიო ომი, სწორი არ იქნებოდა, თუ ჩვენ ყოველი ღონე არ გვეხმარა, რომ თავიდან აგვეცილებინა მსოფლიო ომი!

ჩვენ არ გვესმის ლოზუნგი: თერმოატომური ომის ნანგრევებზე კაცობრიობა კიდევ უფრო მშვენიერ საზოგადოებას აშენებსო. განა არის თუნდაც ერთი ასეთი ჭკვიანი ადამიანი ან გიჟი, რომელსაც შეეძლია მთელი სიცხადით თქვას, თუ რა იქნება დედამიწაზე თერმოატომური ომის შემდეგ? მე არ გაშინებთ თერმოატომური ომის საშინელებებით, რადგან სისულელეა დაშინება, მაგრამ მე რეალურად წარმომიდგენია თანამედროვე თერმოატომური ომის დამანგრეველი ძალა.

კაცობრიობამ უკვე იცის, თუ რა მოიტანეს ატომურმა ბომბებმა, რომლებიც იაპონიის ქალაქებში ხიროსიმასა და ნაგასაკაში ჩამოაყარეს. მაგრამ ეს ატომური იარაღის მხოლოდ პატარა ნიმუში იყო. ახლა ის ბომბები სათანადო ბომბებად ითვლება. მაგრამ გაიხსენეთ, რა უბედურება მოუტანეს მათ ადამიანებს. თუ კი აფეთქდება ამაგატიანი ბომბი, მაშინ ვინ იცის, რა უხდა ქნან ამის შემდეგ იმ ქვეყნის ადამიანებმა, სადაც იგი აფეთქდება? ამერიკელებმა იაპონიაში ორი ბომბი ჩამოაგდეს. ახლა რამდენია დაგროვილი ატომური ბომბები? ამერიკელები ამბობენ, იმდენი ბომბი დაეგროვეთო, რომ შეგვიძლია თვითეული რუსი სამჯერ მოვკლათო, ამასთან, როცა ისინი ამბობენ „რუსი“, გულისხმობენ საბჭოთა კავშირის ყველა ადამიანს. მაგრამ, როცა ასე ამბობენ, არ კარგავენ გონებას, ისინი აღიარებენ, რომ რუსებსაც აქვთ იმდენი ატომური ბომბი, რომ შეუძლიათ დაგვხოცონ, მაგრამ მხოლოდ ერთხელო. უნდა ითქვას, მეტი არც არის საჭირო.

ჩვენში არის ძველი ანდაზა: კაცს თავსა სჭრიდნენ, და მუწუკი არ მატკინოთო. თუ ადამიანი ერთხელ მოკლეს, კიდევ სამჯერ ან ხუთჯერაც რომ მოკლან, ამას მნიშვნელობა აღარა აქვს. მაგრამ კარგია, რომ ჩვენი მოწინააღმდეგენი აღიარებენ ჩვენს შესაძლებლობას დავხოცოთ ისინი ერთხელ, თუ დაიწყებენ ომს. ეს, როგორც იტყვიან, საკმარისია.

ჩვენ თვითონ ომს არ დავიწყებთ. ჩვენ არავისი დახოცვა არ გვინდა. საბჭოთა ადამიანებს სურთ მშვიდობიანად იცხოვრონ ყველა ხალხთან, განავითარონ ეკონომიური თანამშრომლობა ყველა ქვეყანასთან, და ჩვენ ამას უკვე ეაკეთებთ. ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოების შიგნით სოციალ-პოლიტიკური დავის გადაწყვეტის უფლება მხოლოდ თვითეული ქვეყნის ხალხსა აქვს.

ჩვენ ხომ ვერ გამოვუცხადებთ ომს საფრანგეთს, რომ ფრანგმა მშრომელებმა, კომუნისტებმა გაიმარჯვონ, რომ იქ მოხდეს სოციალისტური რევოლუცია. ასეთ ომში ბიანდ ბიანდ მონოპოლისტებიც, დაიღუპებიან კომუნისტებიც. კომუნისტებს არა აქვთ თავდაცვის საშუალებანი ჩვენი ატომური ბომბების წინააღმდეგ, კომუნისტური ატომური ბომბების წინააღმდეგ.

სისულელეა, რომ ასე ძვირად დაგვიჯდეს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება, სისულელეა! ასეთმა კაცმა უნდა მიმართოს პროფესორ ქირუგს პეტროვსკის. მართალია, იგი კარგად აკეთებს გულის ოპერაციას, მაგრამ, როგორც ჩანს, არა აქვს ტვინის ასეთ ავადმყოფურ ხორცმეტთა ამოკვეთის გამოცდილება.

დარწმუნებული ვარ და ამას მარტო ჩვენი კომუნისტური პარტიის სახელით როდი ვამბობ, დარწმუნებული ვარ, რომ ამას ვამბობ მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის სახელით, — რომ ჩვენ ყველანი წინააღმდეგი ვართ მსოფლიო ომის გაჩაღებისა, რა ზერეოლუციონური ფრაზებითაც უნდა ამართლებდნენ მას.

ჩვენ გვწამს რომ გაიმარჯვებს მარქსიზმ-ლენინიზმი მთელ მსოფლიოში, ისევე როგორც გვწამს, რომ ამოვა მზე. იმ საკითხს, თუ როგორ, სად, როდის გაიმარჯვებს რევოლუცია, გადაჭრიან თვითეული ქვეყნის მუშათა კლასი, მშრომელები, და არა ომები სახელმწიფოთა მორის. სხვაგვარად შეიძლება იქამდე მივიდეთ, რომ ხელთ ავიღოთ კეტი და შევრეკოთ ადამიანები სამოთხეში, ესე იგი კომუნიზმში, კომუნიზმი, ხომ ყველაზე უკეთესი სიზოგადოებაა დედამიწაზე. წამოიდგინეთ, რა იქნებოდა, ვინმემ რომ აიღოს ხელთ რაკეტულ-ატომური კეტი, იაროს იმ კეტით ხელში და მრისხანედ ჰკითხოს სხვებს: მიდიხარ კომუნიზმში? და თუ იგი უპასუხებს, „არა“, სთხლეშოს ეს კეტი.

განა შეიძლება სწორად მივიჩნიოთ ასეთი პოზიცია: არა, რევოლუციის გზებისა და ფორმების ხელმძღვანელობა ერეკოს თვითეული ქვეყნის პროლეტარიატი, გადაჭრიან რევოლუციური პარტიები.

ვიმეორებ, — სოციალიზმის უპირატესობანი მაგალითით უნდა ცხადეყოთ. აქ მარტოოდენ სიტყვები არ კმარა. სოციალისტური ქვეყნები მაგალითით უნდა ცხადეყოფდნენ სოციალიზმის უპირატესობებს, და ჩვენ ცხადეყოფთ ამას, ჩვენ გადაჭარბებით როდი ვაფასებთ ჩვენს მიღწევებს. ჩვენ ჯერ კიდევ არცთუ ისე მდიდრულად ვცხოვრობთ, მაგრამ გაცილებით უკეთ ვცხოვრობთ ვიდრე წინათ ვცხოვრობდით. ყველაზე მთავარი კი ის არის, რომ ყოველდღე, ყოველ თვეში, ყოველ წელს საბჭოთა ხალხს სულ უფრო მეტი საშუალება ეძლევა უკეთესად იცხოვროს. და ამას ახლა ჩვენი მოწინააღმდეგენიც კი აღიარებენ.

ამიტომ ჩვენ რწმენით შეეყურება მომავალს!

ზოგიერთმა შეიძლება იკითხოს: შეიძლება თუ არა დაიწყოს მსოფლიო ომი? ვერ ვიტყვით, რომ ომი შეუძლებელია. რატომ? იმიტომ რომ არიან იმპერიალისტური სახელმწიფოები, არის მონოპოლისტური კაპიტალი, არიან გოლდფინგერები და სხვა „ულტრები“. მათ აქვთ იარაღი, მათ შეუძლიათ გააჩაღონ მსოფლიო ომი. თუ კომუნისტებს შორის არიან ისეთები, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ომი სიკეთეა მსოფლიო რევოლუციისათვის, იმპერიალისტთა შორის მით უფრო არიან ისეთებიც, რომლებსაც გამოსავლად მსოფლიო ომის გაჩაღება მიაჩნიათ.

მაგრამ ვფიქრობ, რომ იმას, ვისაც თერმოატომური იარაღი აქვს, უკვე ესმის, რომ რაკეტულ-ატომური ომის აკნაპისათვის ხელის წაკრავება საკუთარ თავითმკვლელობას ნიშნავს.

თუ მტრები ატეხენ ომს, ჩვენ ხელი არ შეგვიდრკება გამოვიყენოთ მთელი ჩვენი შესაძლებლობანი, მთელი ჩვენი სამხედრო ძალიერება, რათა სასასუხო დარტყ�გავანადგუროთ მტერი.

ოდესღაც ჰიტლერი იარაღს იქნევდა, შემდეგ ომი ატეხა, უნდოდა ურალამდე მოსულიყო. ცნობილია, თუ რით დამთავრდა ჰიტლერის ავანტიურა, ძმაო, ვისაც სურს გაიმეოროს ჰიტლერიზლაშქრობა, უნდა იცოდნენ: დიდხანს სიარული არ უწერიათ. თუ წარსულ ომში ჰიტლერელები ელოგოგრადამდე მივიდნენ, ისინი, ვინც ახლა გაბედავს დაიწყოს ლაშქრობა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ, საკუთარ მიწაზე დაიხოცებიან. აგრესორები ვერ მოესწრებიან იმას, რომ გადალახონ საზღვრები, რომლებსაც ახლა იცავენ ჩვენი საბჭოთა ჯარები, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ვარშავის ხელშეკრულების სხვა ქვეყნების ჯარები. ეს საზღვრები დაცულია რაკეტულ-ატომური იარაღით.

თუმცა ომის შემდეგ თითქმის ოცი წელი გავიდა, მაგრამ პრობლემები ომისშემდგომი მოწყობისა გერმანიის ტერიტორიაზე დღემდე არ არის მოწესრიგებული. ეს ქმნის დაძაბულობის საშიშ კერას, ახალი ომის საფრთხის წყაროს. გერმანიის მშვიდობიანი მოწესრიგების საკითხი შეიძლება გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას, რათა მთელი მსოფლიოს ადამიანებმა შეებით ამოისუნთქონ და ძილის წინ არ აშინებდეთ, რომ ხვალ ატყდება ომი და ვეღარ ადგებიან. თუ საქმე კვლავაც ისე წავა, როგორც ახლა მიდის, ომის საფრთხე თანდათან გაიზრდება და ამ საშიშ განვითარებას ბოლო არ ექნება.

სწორედ ის გარემოება, რომ გერმანიის საკითხი გადაუჭრელი რჩება, აიძულებს დასავლეთის სახელმწიფოებსა და ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოებს ევროპის ცენტრში დიდი რაოდენობით მოუყარონ თავი ჯარებსა და შეიარაღებას, ხდება შეიარაღებული ძალების დიდი პირისპირდგომა.

და ასე გაგრძელდება, სანამ დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეები ყურად არ იღებენ გონების ხმას და არ მოიკრებენ ძალ-ღონეს, რომ დაეთანხმონ რეალისტურ წინადადებებს გერმანიის საკითხის გადაჭრის შესახებ.

როცა ომი იყო, ანტიფაშისტური კოალიციის მონაწილე დასავლეთის სახელმწიფოები იმედოვნებდნენ, რომ ომისშემდგომი გერმანია როგორც იყო, ისევე დარჩებოდა კაპიტალისტური. ჩვენ, კომუნისტები, მას სხვა — სოციალისტურ მომავალს გუსურვებდით.

ყველასათვის ცნობილია, თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ომისშემდგომ წლებში. ჰიტლერული რაიხის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი სახელმწიფო, სადაც სხვადასხვა. უფრო მეტიც, ერთმანეთის საწინააღმდეგო საზოგადოებრივი წყობილებაა, და როგორც დამოუკიდებელი ერთეული არის დასავლეთი ბერლინი.

საბჭოთა კავშირმა ცხო ეს ობიექტური ფაქტი, მაგრამ ჩვენი ყოფილი მოკავშირეებისათვის, დასავლეთგერმანელ იმპერიალისტებთან ერთად, რა თქმა უნდა, უფრო სასუფველი იქნებოდა კაპიტალისტური წესწყობილების რესტავრაცია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, მისი „შეყვანა“ ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ომის გზით არ შეიძლება ისე, რომ შოფლიოს თავს არ დაატყდეს ომრმოატომური კატასტროფა. ეს ახლა დასავლეთშიც ესმით. ვერ მოხერხდება „დიაყოლიონ“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელები, რომ თავიანთი ნებით კვლავ დაიდგან კაპიტალიზმის უღელი!

